საზოგადოებრივი მაუწყებლის
2026 წლის
II კვარტლის

# ანგარიში

## მნიშვნელოვანი სიახლეები

- **საქართველოს პირველი არხის წარმატება ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე**

ბმული

- **საერთაშორისო აუდიტის უპირობო დადებითი დასკვნა საქართველოს პირველი არხის ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ბმული

- **საქართველოს რადიოს 101 წელი შეუსრულდა**

ბმული

- **საბერძნეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის დელეგაცია სტუმრად საქართველოს პირველ არხზე**

ბმული

- **მედიაწიგნიერების გაძლიერება**

მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პირველმა არხმა შეხვედრა გამართა 500 მდე მოსწავლესა და სტუდენტთან

ბმული

ბმული

## ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ - ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ

2026 ᲬᲚᲘᲡ II ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘ




მაუწყებლობის 25.7% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

## ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 19,9 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,9 მილიონი; გვერდს დაემატა 20,700 გამომწერი.

### პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 4,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 629,600.

გვერდს დაემატა 5,400 გამომწერი.

### პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 11,3 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 152,800.

გვერდს დაემატა 9000 გამომწერი.

### 1tv.ge სტატისტიკა

| | II კვარტალი 2026 | I კვარტალი 2026 |
|---|---|---|
| ნახვა | 22,706,795 | 22,283,412 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 249,520 | 247,760 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 236,559 | 269,093 |
| | 30 მაისი 2026 | 26 მარტი 2026 |

### იუთუბარხების სტატისტიკა

| | II კვარტალი 2026 | I კვარტალი 2026 |
|---|---|---|
| ნახვა | 21,200,000 | 21,100,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა | 233,000 | 235,000 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი | 580,000 | 534,000 |
| | 2 ივნისი 2026 | 26 მარტი 2026 |

* მონაცემები დათვლილია google analytics-ით კონკრეტულად კი event count-ის მიხედვით.

### Instagram

პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს 2026 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით ჰყავს 70 700 გამომწერი.

# იურიდიული სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2026 წლის მე-2 კვარტლის ანგარიშს.

## 1. ხელშეკრულებების შესახებ

2026 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 149 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## 2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2026 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "სტუდია ფონოგრაფი"** | სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.<br>- სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი |
| 2 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 3 | **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება | - მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.<br>- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 4 | **სს „სადაზღვევო კომპანია ალფა"** | 28/02/2022წ. დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი დავალიანების 4215 12 ლარის ოდენობით დაფარვა | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 5 | **თამთა ჯანაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.<br>- მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | **სოფიო ზედელაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით | - საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში. |
| 7 | **არაზ მაშოვი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>გადაწყვეტილება არ არის მომზადებული. წარდგენილია ფორმალური სააპელაციო საჩივარი |
| 8 | **ნიკოლოზ ცერცვაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. |
| 9 | **ნინო ზაუტაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. მიმდინარეობს საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და სხდომა ჩანიშნულია 2026წ. 14 სექტემბერს. |
| 10 | **ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.<br>- მოსარჩლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |
| 11 | **ქეთევან კაპანაძე<br>იოსებ კაციტაძე<br>თამარ მშვენიერაძე<br>ომარ წოწორია<br>ტუხა კვინიკაძე** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. |
| 12 | **მერი შიხაშვილი** | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |

## 2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2026 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

| № | მოპასუხე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | **შპს "პრაიმ თაიმი"** | 24 633 81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება | - საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა.<br>- ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო** | ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა | - სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. |

## 2.3

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:**

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ:</u> შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააალსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18,05,2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403 23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318 01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

## ***3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ***

2026 წლის მე-2 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 3 განცხადება, საიდანაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1 განცხადება, 1 განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 განცხადებაზე გაკეთდა შესაბამისი განმარტება, რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციის კატეგორიას.

## ***4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ***

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2026 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2026 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში 29,06,2026წ. საჩივარი წარმოადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის „ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრმა". მე-2 კვარტლის მდგომარეობით განხილვა დასრულებული არ არის.

## ***5. სხვა საკითხების შესახებ***

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.).

# ანგარიში

## საზოგადოებრივი მაუწყებლის 2026 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2026 წლის II კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 22,341,353 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2026 წლის II კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 21,338,329 ლარი. აქედან 20,064,700 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 1,273,629 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა.

2026 წლის II კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 35,651,682 ლარს, ხოლო II კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 40,299,389 ლარი.

2026 წლის II კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

## ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 238,433 | 233,486 | 4,947 |
| საერთო და ადმინისტრაციული | 2,904,162 | 2,056,273 | 847,889 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,713,454 | 3,477,345 | 236,109 |
| მედია | 3,950,715 | 4,373,800 | (423,085) |
| ტექნიკური ხარჯი | 3,390,179 | 3,129,434 | 260,745 |
| ონლინ მედია | 1,984,178 | 313,410 | 1,670,768 |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | 1,710,375 | 1,397,435 | 312,940 |
| საინვესტიციო ხარჯი | 3,705,551 | 971,317 | 2,734,234 |
| ფინანსური ხარჯი | 370,343 | 414,607 | (44,264) |
| სამეურვეო საბჭო | 373,963 | 323,515 | 50,448 |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **22,341,353** | **16,690,622** | **5,650,731** |

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2026 წლის II კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 5 მლნ. 650 ათასი ლარით ნაკლები.

## ბიუჯეტის შესრულება, 2026 II კვ.




## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2026 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 9,738,983 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,928,018 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა, ბიუჯეტთან შედარებით, 810 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

### 2026 წლის II კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 929,656 | 804,456 | 125,200 |
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 3,210,779 | 2,873,879 | 336,899 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 3,000,949 | 2,759,849 | 241,100 |
| მედია | 2,259,497 | 2,220,251 | 39,245 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 273,803 | 230,507 | 43,296 |
| ონლაინ მედია | 25,000 | - | 25,000 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 39,300 | 39,075 | 225 |
| **ჯამი:** | **9,738,983** | **8,928,018** | **810,965** |

## მივლინება

2026 წლის II კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ჯამურმა სამივლინებო ხარჯმა შეადგენდა 465,588 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 390,349 ლარი.

### სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

| | გეგმა | ფაქტი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 55,670.2 | 56,169.1 | (498.9) |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 198,947.5 | 239,482.7 | (40,535) |
| მედია | 209,220.5 | 88,768.0 | 120,452 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 1,750.0 | 5,930.0 | (4,180) |
| ონლაინ მედია | - | - | 0 |
| **ჯამი:** | **465,588** | **390,349** | **75,238** |

### საინვესტიციო ხარჯი:

2026 წლის II კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 971.317 ლარის კაპიტალური ხარჯი:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 389,055 |
| ტექნიკური აღჭურვა | 158,543 |
| არამატერიალური აქტივი | 375,131 |
| სხვა საინვესტიციო ხარჯი | 48,588 |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი:** | **971 317** |

### ფინანსური ხარჯი:

2026 წლის II კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 414,607 ლარის ფინანსური ხარჯი:

| | |
|---|---|
| საგადასახადო გადასახდელები | 302,515 |
| სესხის მომსახურება | - |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 112,092 |
| **ჯამური ფინანსური ხარჯი:** | **414,607** |

## ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ, 2026 წლის II კვარტლის განმავლობაში, სპორტულ ლიცენზიებზე, სიგნალებსა და სხვა სამაუწყებლო შესყიდვაზე გადახდილ იქნა 1,397,435 ლარი.

## კომერციული შემოსავლები

2026 წლის II კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 1,273,630 ლარი. აღნიშნული თანხიდან ძირითადი კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იყო 84,898 ლარი; სხვა არასაოპერაციო და ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 1,188,732 ლარი.

### 2026 წლის II კვარტლის კომერციული შემოსავლები

| | |
|---|---|
| **კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | **84,898** |
| რეკლამიდან მიღებული შემოსავალი | 39,250 |
| სპონსორობა | 16,220 |
| პროდაქტ ფლეისმენტი | - |
| იჯარიდან მიღებული შემოსავალი | 7,000 |
| ტექნიკური მომსახურება | 22,000 |
| საარქივო მომსახურება | 428 |
| **სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი** | **1,188,731** |
| ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | 130,198 |
| დეპოზიტის პროცენტი | 1,023,024 |
| დადებითი საკურსო სხვაობა | - |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 35,509 |
| **მიღებული სესხი** | **-** |
| **ჯამი:** | **1 273 630** |

## დანართი N1

| | II კვარტალი | | | |
|---|---|---|---|---|
| **დასახელება** | **აპრილი** | **მაისი** | **ივნისი** | **ჯამი** |
| **საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **5,055,127** | **4,403,818** | **5,522,238** | **14,981,182** |
| **გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები** | **77,458** | **77,458** | **78,570** | **233,486** |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი** | **723,585** | **671,456** | **661,233** | **2,056,273** |
| შრომის ანაზღაურება | 268,850 | 275,775 | 259,832 | 804,456 |
| მივლინება | 6,243 | 24,855 | 25,072 | 56,169 |
| მარკეტინგი | 42,257 | 32,867 | 48,239 | 123,364 |
| კომუნალური ხარჯი | 266,775 | 155,709 | 174,941 | 597,425 |
| ავტოპარკი | 42,138 | 75,394 | 66,980 | 184,512 |
| საოფისე ხარჯი | 86,325 | 104,472 | 84,395 | 275,192 |
| წარმომადგენლობით ხარჯი | 10,997 | 2,384 | 1,774 | 15,155 |
| **ახალი და მიმდინარე ამბები** | **1,147,713** | **1,208,878** | **1,120,754** | **3,477,345** |
| შრომის ანაზღაურება | 964,920 | 960,100 | 948,860 | 2,873,879 |
| მივლინება | 72,408 | 70,431 | 96,644 | 239,483 |
| უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება | 34,775 | 103,637 | - | 138,412 |
| ბიზნესპარტნიორი | 75,610 | 74,710 | 75,250 | 225,570 |
| **მედია** | **1,643,127** | **1,136,405** | **1,594,269** | **4,373,800** |
| შრომის ანაზღაურება | 1,041,724 | 875,090 | 843,035 | 2,759,849 |
| მივლინება | 55,796 | 21,172 | 11,800 | 88,768 |
| გარეწარმოება | 81,748 | 161,895 | 278,444 | 522,086 |
| შესყიდვები - მედია | 463,859 | 78,247 | 460,991 | 1,003,097 |
| **ტექნიკური ხარჯი** | **1,036,877** | **999,823** | **1,092,734** | **3,129,434** |
| შრომის ანაზღაურება | 750,021 | 740,573 | 729,657 | 2,220,251 |
| მივლინება | - | 5,930 | - | 5,930 |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯი | 216,708 | 183,334 | 200,791 | 600,832 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სხვა არასაინვესტიციო ხარჯი | 70,149 | 69,986 | 162,286 | 302,420 |
| **ონლაინ მედია** | **76,485** | **95,849** | **141,075** | **313,410** |
| შრომის ანაზღაურება | 77,723 | 79,719 | 73,065 | 230,507 |
| ონლაინ მედიის შესყიდვები | (1,238) | 16,130 | 68,011 | 82,903 |
| **სხვა სამაუწყებლო ხარჯი** | **349,883** | **213,950** | **833,603** | **1,397,435** |
| ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი | - | 144,903 | - | 144,903 |
| სიგნალები და სპორტული სააგენტოები | 108,682 | 68,422 | 201,030 | 378,134 |
| სპორტული ლიცენზიები | 231,051 | - | 632,573 | 863,624 |
| ქართული ფილმები | 10,150 | 625 | - | 10,775 |
| **საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი** | **514,372** | **185,029** | **271,916** | **971,317** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | **260,113** | **128,942** | **-** | **389,055** |
| მშენებლობის ხარჯი | 174,502 | - | - | 174,502 |
| პროექტირების და ზედამხედველობის ხარჯი | 85,611 | - | - | 85,611 |
| ინვენტარი/ავეჯი | - | 128,942 | - | 128,942 |
| **ტექნიკური აღჭურვა** | **71,203** | **7,500** | **79,840** | **158,543** |
| კამერები | - | - | 79,840 | 79,840 |
| კომპიუტერული ტექნიკა | 68,000 | - | - | 68,000 |
| სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა | 3,203 | 7,500 | - | 10,703 |
| **არამატერიალური აქტივი** | **134,468** | **48,587** | **192,076** | **375,131** |
| მექანიკური პროდუქცია | 134,468 | 48,587 | 192,076 | 375,131 |
| **სხვა საინვესტიციო ხარჯი** | **48,588** | **-** | **-** | **48,588** |
| **ფინანსური ხარჯი** | **97,349** | **237,419** | **79,839** | **414,607** |
| **საგადასახადო გადასახდელები** | **60,000** | **200,000** | **42,515** | **302,515** |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 60,000 | 200,000 | 40,000 | 300,000 |
| მოგების გადასახადი | - | - | 2,515 | 2,515 |
| **სხვა ფინანსური ხარჯი** | **37,349** | **37,419** | **37,324** | **112,092** |

| სამეურვეო საბჭო | 86,365 | 153,130 | 84,020 | 323,515 |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭოს წევრების ჰონორარი | 70,380 | 70,380 | 70,380 | 211,140 |
| სხვა ხარჯი | 15,985 | 82,750 | 13,640 | 112,375 |
| **ჯამი** | **5,753,213** | **4,979,396** | **5,958,013** | **16,690,621** |